



2023 წ.

# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-აპრილი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, მაისი, 2023 წ.



## 2023 წლის იანვარ-აპრილში:


- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **7,187.1 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 32.8%-ს, ხოლო 6 თვის გეგმის 71.9%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 76.6%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **6,404.3 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 29.3%-ს, ხოლო 6 თვის გეგმის 64.0%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 79.8%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **782.8 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 მაისისთვის - **2,030.3 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-აპრილში შემოსულობების შესრულება შეადგენს 7,187.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 32.8%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,528.5 მლნ ლარით (27.0%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 6,404.3 მლნ ლარს (წლიური გეგმის 29.3%) და 730.3 მლნ ლარით (12.9%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 4 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 4 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 4 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>1</sup> 9,993.2 მლნ ლარით, ხოლო 4 თვის შესრულება მის 71.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 6 თვის გეგმის მიმართ შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (74.6%), ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი კარგი შესრულებით ხასიათდება (62.7%), ვალდებულებების ზრდის კომპონენტი გამოირჩევა შედარებით დაბალი შესრულების დონით (57.3%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება - 6 თვის გეგმის მხოლოდ 34.5%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა განსაზღვრულია 10,002.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 4 თვის შესრულება 6 თვის გეგმის 64.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 6 თვის გეგმის 63.9%-ს უტოლდება. ასევე, კარგი შესრულებით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი (6 თვის გეგმის 67.7%). შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს - 6 თვის გეგმის 76.9%, ვალდებულებების კლების კომპონენტი კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (55.1%).


<sup>1</sup> „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	4 თვის შესრულება	4 თვე/6 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	4 თვის შესრულება	4 თვე/6 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	9,993.2	7,187.1	71.9%	გადასახდელები	21,880.1	10,002.0	6,404.3	64.0%
შემოსავლები	17,619.9	8,518.5	6,352.6	74.6%	ხარჯები	16,335.2	7,991.5	5,109.0	63.9%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	86.0	29.7	34.5%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	1,334.2	902.7	67.7%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	158.5	99.4	62.7%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	91.9	70.6	76.9%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,230.2	705.5	57.3%	ვალდებულებების კლება	1,218.5	584.4	321.9	55.1%

ცხრილი 1: 2023 წლის 4 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ<sup>2</sup> 4 თვეში შეადგინა 1,243.5 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - 370.5 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 4 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 4 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 4 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-აპრილში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 782.8 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 მაისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,030.3 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აპრილის თვის მაჩვენებლები

2023 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 2,286.7 მლნ ლარი, რაც 422.3 მლნ ლარით მეტია მარტის მაჩვენებელზე, ხოლო წინა წლის აპრილის მაჩვენებელს 1,454.2 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2023 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუღებულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,745.2 მლნ ლარს, რაც მარტის მაჩვენებელზე 111.5 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის აპრილის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 337.6 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობები კომპონენტების მიხედვით


შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (84.4%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (15.2%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 9.6 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 0.8 ათასი ლარი.



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


2023 წლის აპრილში ხარჯების მაჩვენებელმა 1,341.0 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ბრდის მუხლებით გადასახდელებმა, შესაბამისად - 319.4 მლნ ლარი და 45.2 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 39.6 მლნ ლარს გაუტოლდა.

გადასახდელები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც აპრილში მიღებული შემოსავლების 72.3%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 61.0% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,394.5 მლნ ლარი,



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

მარტის მაჩვენებელზე (1,315.4 მლნ ლარი) 79.1 მლნ ლარით მეტი, რაც უკავშირდება სხვა გადასახადის ზრდას<sup>4</sup> (რომლის მოცულობაც მომატებულია 448.6 მლნ ლარით და 187.8 მლნ ლარს შეადგენს). წინა თვესთან შედარებით ყველა დანარჩენი სახის გადასახადი შემცირებულია: საშემოსავლო გადასახადი - 15.6 მლნ ლარით, მოგების გადასახადი - 284.9 მლნ ლარით, დღგ - 56.4 მლნ ლარით, აქციზი - 10.4 მლნ ლარით (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული, ისე იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის კლების გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 2.2 მლნ ლარით.



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი აპრილში გაწეული მთლიანი გადასახდელების 76.8%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა აპრილში შეადგინა 1,341.0 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,295.0 მლნ ლარი) 46.0 მლნ ლარით მეტი. მატება ძირითადად დაკავშირებულია პროცენტის (43.9 მლნ ლარით), სხვა ხარჯების (29.4 მლნ ლარით), გრანტების (14.2 მლნ ლარით), აგრეთვე, საქონლისა და მომსახურების (8.0 მლნ ლარით) და სოციალური უზრუნველყოფის (4.0 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების ზრდასთან. წინა თვესთან შედარებით შემცირებულია სუბსიდიებისა (41.7 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (11.7 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსება.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 588.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - 269.3 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აპრილში მიღებული შემოსულობებისა (2,286.7 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,745.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, აპრილის თვეში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 541.5 მლნ ლარი.

4 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 7,187.1 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 88.4%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მატების გავლენით. რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელი 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით მცირედით შემცირებულია, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კი - მნიშვნელოვნად გაზრდილი (2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 89.1%-ს, ხოლო 2021 წელს - 54.7%-ს). ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები 2022 წელთან შედარებით მცირედით გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად მთლიან შემოსულობებში, 2021 წელთან შედარებით კი - მკვეთრად შემცირებული (2023 წლის 4 თვეში ვალდებულებების ზრდის წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 9.8%-ს შეადგენს, 2022 წელს 9.7%-ს და 2021 წელს 44.6%-ს შეადგენდა). მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.8%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 1.1%-ს, ხოლო 2021 წელს 0.7%-ს შეადგენდა.

2021-2023 წწ. 4 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 4 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

**შემოსავლების** სახით იანვარ-აპრილში მიღებულია 6,352.6 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 74.6% და წლიური გეგმის 36.1%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 1,308.0 მლნ ლარით (25.9%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 6 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

4 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 5,507.5 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 71.2%-ს და წლიური გეგმის 33.8%-ს შეადგენს. 6 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი მობილიზაციის კარგი დონით ხასიათდება და 67.6%-79.6%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 832.5 მლნ ლარით (17.8%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია საშემოსავლო გადასახადის, დღგ-სა და აქციზიდან შემოსავლის ზრდით (შესაბამისად, 25.1%-ით, 18.1%-ით და 35.0%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 294.4 მლნ ლარით (22.6%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-აპრილში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 2,075.8 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 318.5 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 262.9 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 55.6 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 35.0%-ით (151.6 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 137.3 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 110.9 მლნ ლარით (97.1%-ით) მეტი შემოსავალი).



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 4 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მაჩვენებელი (125.3 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 6 თვის გეგმის 102.4%-ს და წლიური გეგმის 44.8%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 4 თვეში მიღებულია 30.8 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე), აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან (6 თვის გეგმის 104.6%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი 27.4 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 60.9%) და საინვესტიციო გრანტები 7.1 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 35.4%).

**სხვა შემოსავლების** სახით 4 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 719.7 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის მაჩვენებელზე 9.0%-ით მეტი (წლიური გეგმის 68.5%), რაც დაკავშირებულია აპრილის თვეში დივიდენდის სახით, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან, ბიუჯეტში 462.8 მლნ ლარის ოდენობით (112.8 მლნ ლარის გადაჭარბებით) თანხის ჩარიცხვასთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შემოსავლებია, ასევე, მიღებული პროცენტებისა და არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (შესაბამისად, 86.2 მლნ ლარის და 85.2 მლნ ლარის ოდენობით).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით იანვარ-აპრილში მიღებულია 29.7 მლნ ლარი, რაც 6 თვის გეგმის 34.5%-ს შეადგენს (წლიური გეგმის 14.8%). მ.შ. ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოვიდა 23.8 მლნ ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან - 5.9 მლნ ლარი.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) 4 თვეში მიღებულია 99.4 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 62.7% (წლიური გეგმის 22.1%), რაც წინა წლის მაჩვენებელს 70.4 მლნ ლარით (3.4-ჯერ) აღემატება.

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობების სახით 4 თვეში ბიუჯეტში ჩარიცხა 705.5 მლნ ლარი, რაც 6 თვის გეგმის 57.3%-ია. საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 432.7 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 81.6%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით მიღებულია 0.4 მლნ ლარი (თუმცა 6 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	4 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>705.5</b>	<b>57.3%</b>	<b>19.4%</b>
<b>საგარეო</b>	<b>433.1</b>	<b>81.7%</b>	<b>19.3%</b>
საბიუჯეტო კრედიტები	0.4		0.1%
საინვესტიციო კრედიტები	432.7	81.6%	23.5%
<b>საშინაო</b>	<b>272.4</b>	<b>38.9%</b>	<b>19.5%</b>


ცხრილი 2 : 2023 წლის 4 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 272.4 მლნ ლარი შეადგინა (6 თვის გეგმის 38.9%).

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 6,404.3 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 79.8%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021 წლებთან შედარებით, ხოლო მისი წილი გადასახდელებში აღემატება 2021 წლის მონაცემს და მცირედით ჩამორჩება 2022 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, 2021 წლის 4 თვეში ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 61.0%-ს, ხოლო 2022 წლის 4 თვეში - 81.5%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-აპრილში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 14.1% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.1% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.0%. 2022 წლის იანვარ-აპრილში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 12.4%-ის, 0.6%-ის და 5.5%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის იანვარ-აპრილში - 8.0%-ის, 2.1%-ის და 28.8%-ის ოდენობებით.


2021-2023 წწ. 4 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-აპრილში (მლნ ლარი)

**ხარჯების** შესრულებამ იანვარ-აპრილში შეადგინა 5,109.0 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 63.9% და წლიური გეგმის 31.3%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 486.6 მლნ ლარით (10.5%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა, რომელიც შემცირებულია 45.9 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის პროცენტის (151.3 მლნ ლარი) მუხლზე. 6 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (70.0%), სოციალური უზრუნველყოფისა (67.3%) და სუბსიდიების (65.2%) მუხლები. 6 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება სხვა ხარჯების (61.9%), შრომის ანაზღაურების (61.2%), საქონელი და მომსახურებისა (58.2%) და გრანტების (57.3%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (395.2 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 249.0 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 146.1 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (2,140.6 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (1,610.0 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (364.2 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (122.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 4 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (902.7 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 67.7%-ს და წლიური გეგმის 23.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (430.1 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (121.9 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (91.3 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (61.5 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (43.2 მლნ ლარი) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (41.2 მლნ ლარი).

**ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (70.6 მლნ ლარი), 6 თვის გეგმის 76.9%-ს და წლიური გეგმის 15.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 19.0 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 08) – 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 0.8 მლნ ლარის ოდენობით,
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 47.7 მლნ ლარის ოდენობით,
  - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 1.8 მლნ ლარის ოდენობით
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 0.1 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების** მუხლის შესრულება (321.9 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 6 თვის გეგმის 55.1%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 26.4%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 309.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	4 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>321.9</b>	<b>55.1%</b>	<b>26.4%</b>
საგარეო	309.3	55.3%	26.3%
საშინაო	12.6	50.7%	29.4%


ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 4 თვეში (მლნ ლარი, %)

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების იანვარ-აპრილის შესრულება მოიცავს **დამატებით 5 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 4.6 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნების გადასახდელების შესრულებას, იანვარ-აპრილში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 714.4 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 62.5% და წლიური გეგმის 29.6%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 207.1 მლნ ლარი, საიდანაც 73.9 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 126.4 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 6.8 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-აპრილში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 122.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 71.5 მლნ ლარის, 9.5 მლნ ლარის და 0.9 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>5</sup> მიხედვით შეადგინა 6,011.7 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 64.5% და წლიური გეგმის 29.7%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:



დიაგრამა 12: 2023 წლის 4 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

## გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-აპრილში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

<sup>5</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 4 თვის შემოსულობა	2022 წლის 4 თვის შემოსულობა	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა*	2023 წლის 4 თვის შემოსულობა	2023 წლის 4 თვის შემოსულობა / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 4 თვის შემოსულობა / 2022 წლის 4 თვის შემოსულობა		2023 წლის 4 თვის შემოსულობა წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>7,030.1</b>	<b>5,658.6</b>	<b>21,914.2</b>	<b>9,993.2</b>	<b>7,187.1</b>	<b>-2,806.1</b>	<b>71.9%</b>	<b>1,528.5</b>	<b>27.0%</b>	<b>32.8%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>3,844.2</b>	<b>5,044.6</b>	<b>17,619.9</b>	<b>8,518.5</b>	<b>6,352.6</b>	<b>-2,166.0</b>	<b>74.6%</b>	<b>1,308.0</b>	<b>25.9%</b>	<b>36.1%</b>
გადასახადები	3,440.2	4,675.0	16,290.4	7,735.9	5,507.5	-2,228.4	71.2%	832.5	17.8%	33.8%
საშემოსავლო გადასახადი	1,029.8	1,500.1	5,140.0	2,515.0	1,876.4	-638.6	74.6%	376.3	25.1%	36.5%
მოგების გადასახადი	482.3	774.7	2,000.0	1,095.0	772.8	-322.2	70.6%	-1.9	-0.2%	38.6%
დღგ	1,376.7	1,757.3	6,670.4	3,069.9	2,075.8	-994.1	67.6%	318.5	18.1%	31.1%
აქციზი	426.5	433.0	2,100.0	803.0	584.7	-218.3	72.8%	151.6	35.0%	27.8%
იმპორტის გადასახადი	24.0	30.1	130.0	55.0	43.8	-11.2	79.6%	13.6	45.2%	33.7%
სხვა გადასახადები	100.8	179.7	250.0	198.0	154.1	-43.9	77.8%	-25.5	-14.2%	61.6%
გრანტები	210.1	181.1	279.6	122.3	125.3	3.0	102.4%	-55.8	-30.8%	44.8%
სხვა შემოსავლები	193.9	188.5	1,050.0	660.3	719.7	59.5	109.0%	531.3	281.8%	68.5%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>18.7</b>	<b>34.8</b>	<b>200.0</b>	<b>86.0</b>	<b>29.7</b>	<b>-56.3</b>	<b>34.5%</b>	<b>-5.1</b>	<b>-14.7%</b>	<b>14.8%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	<b>30.3</b>	<b>29.0</b>	<b>450.0</b>	<b>158.5</b>	<b>99.4</b>	<b>-59.1</b>	<b>62.7%</b>	<b>70.4</b>	<b>243.0%</b>	<b>22.1%</b>
ვალდებულებების ზრდა	<b>3,136.9</b>	<b>550.2</b>	<b>3,644.3</b>	<b>1,230.2</b>	<b>705.5</b>	<b>-524.7</b>	<b>57.3%</b>	<b>155.3</b>	<b>28.2%</b>	<b>19.4%</b>
საგარეო	3,431.8	443.4	2,244.3	530.2	433.1	-97.1	81.7%	-10.3	-2.3%	19.3%
საშინაო	-294.8	106.8	1,400.0	700.0	272.4	-427.6	38.9%	165.6	155.0%	19.5%
<b>გადასახდელები</b>	<b>7,110.9</b>	<b>5,674.0</b>	<b>21,880.1</b>	<b>10,002.0</b>	<b>6,404.3</b>	<b>-3,597.7</b>	<b>64.0%</b>	<b>730.3</b>	<b>12.9%</b>	<b>29.3%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>4,340.9</b>	<b>4,622.4</b>	<b>16,335.2</b>	<b>7,991.5</b>	<b>5,109.0</b>	<b>-2,882.5</b>	<b>63.9%</b>	<b>486.6</b>	<b>10.5%</b>	<b>31.3%</b>
შრომის ანაზღაურება	542.4	579.8	2,236.7	1,112.1	681.0	-431.1	61.2%	101.2	17.4%	30.4%
საქონელი და მომსახურება	482.8	569.0	2,025.5	1,034.3	601.9	-432.4	58.2%	32.9	5.8%	29.7%
პროცენტი	292.0	243.8	1,201.0	564.6	395.2	-169.5	70.0%	151.3	62.1%	32.9%
სუბსიდიები	224.3	228.1	927.6	440.7	287.4	-153.3	65.2%	59.4	26.0%	31.0%
გრანტები	188.1	226.0	1,275.8	544.6	312.0	-232.6	57.3%	85.9	38.0%	24.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,987.0	2,038.7	6,447.9	3,179.7	2,140.6	-1,039.2	67.3%	101.9	5.0%	33.2%
სხვა ხარჯები	624.3	736.9	2,220.7	1,115.5	691.0	-424.5	61.9%	-45.9	-6.2%	31.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	<b>572.4</b>	<b>705.0</b>	<b>3,881.3</b>	<b>1,334.2</b>	<b>902.7</b>	<b>-431.5</b>	<b>67.7%</b>	<b>197.7</b>	<b>28.0%</b>	<b>23.3%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	<b>146.2</b>	<b>31.8</b>	<b>445.1</b>	<b>91.9</b>	<b>70.6</b>	<b>-21.3</b>	<b>76.9%</b>	<b>38.9</b>	<b>122.4%</b>	<b>15.9%</b>
ვალდებულებების კლება	<b>2,051.5</b>	<b>314.8</b>	<b>1,218.5</b>	<b>584.4</b>	<b>321.9</b>	<b>-262.5</b>	<b>55.1%</b>	<b>7.1</b>	<b>2.3%</b>	<b>26.4%</b>
საგარეო	2,019.8	302.0	1,175.6	559.5	309.3	-250.2	55.3%	7.3	2.4%	26.3%
საშინაო	31.7	12.9	42.9	24.9	12.6	-12.3	50.7%	-0.2	-1.7%	29.4%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოქმენება)</b>	<b>-80.9</b>	<b>-15.4</b>	<b>34.1</b>	<b>-8.8</b>	<b>782.8</b>	<b>791.6</b>		<b>798.3</b>		

\* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №437)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 4 თვის შესრულება	2022 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის 4 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 4 თვის შესრულება / 2022 წლის 4 თვის შესრულება		2023 წლის 4 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>3,844.2</b>	<b>5,044.6</b>	<b>17,619.9</b>	<b>8,518.5</b>	<b>6,352.6</b>	<b>-2,166.0</b>	<b>74.6%</b>	<b>1,308.0</b>	<b>25.9%</b>	<b>36.1%</b>
გადასახადები	3,440.2	4,675.0	16,290.4	7,735.9	5,507.5	-2,228.4	71.2%	832.5	17.8%	33.8%
გრანტები	210.1	181.1	279.6	122.3	125.3	3.0	102.4%	-55.8	-30.8%	44.8%
სხვა შემოსავლები	193.9	188.5	1,050.0	660.3	719.7	59.5	109.0%	531.3	281.8%	68.5%
<b>ხარჯები</b>	<b>4,340.9</b>	<b>4,622.4</b>	<b>16,335.2</b>	<b>7,991.5</b>	<b>5,109.0</b>	<b>-2,882.5</b>	<b>63.9%</b>	<b>486.6</b>	<b>10.5%</b>	<b>31.3%</b>
შრომის ანაზღაურება	542.4	579.8	2,236.7	1,112.1	681.0	-431.1	61.2%	101.2	17.4%	30.4%
საქონელი და მომსახურება	482.8	569.0	2,025.5	1,034.3	601.9	-432.4	58.2%	32.9	5.8%	29.7%
პროცენტი	292.0	243.8	1,201.0	564.6	395.2	-169.5	70.0%	151.3	62.1%	32.9%
სუბსიდიები	224.3	228.1	927.6	440.7	287.4	-153.3	65.2%	59.4	26.0%	31.0%
გრანტები	188.1	226.0	1,275.8	544.6	312.0	-232.6	57.3%	85.9	38.0%	24.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,987.0	2,038.7	6,447.9	3,179.7	2,140.6	-1,039.2	67.3%	101.9	5.0%	33.2%
სხვა ხარჯები	624.3	736.9	2,220.7	1,115.5	691.0	-424.5	61.9%	-45.9	-6.2%	31.1%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>-496.7</b>	<b>422.2</b>	<b>1,284.7</b>	<b>527.0</b>	<b>1,243.5</b>	<b>716.5</b>	<b>236.0%</b>	<b>821.3</b>	<b>194.6%</b>	<b>96.8%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>553.7</b>	<b>670.2</b>	<b>3,681.3</b>	<b>1,248.2</b>	<b>873.0</b>	<b>-375.2</b>	<b>69.9%</b>	<b>202.8</b>	<b>30.3%</b>	<b>23.7%</b>
ზრდა	572.4	705.0	3,881.3	1,334.2	902.7	-431.5	67.7%	197.7	28.0%	23.3%
კლება	18.7	34.8	200.0	86.0	29.7	-56.3	34.5%	-5.1	-14.7%	14.8%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-1,050.4</b>	<b>-248.1</b>	<b>-2,396.6</b>	<b>-721.1</b>	<b>370.5</b>	<b>1,091.7</b>	<b>-51.4%</b>	<b>618.6</b>	<b>-249.4%</b>	<b>-15.5%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>35.1</b>	<b>-12.7</b>	<b>29.2</b>	<b>-75.4</b>	<b>754.1</b>	<b>829.4</b>	<b>-1000.4%</b>	<b>766.7</b>	<b>-6061.0%</b>	<b>2582.2%</b>
ზრდა	146.2	31.8	479.2	91.9	853.5	761.6	928.8%	821.7	2587.5%	178.1%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	34.1	0.0	782.8	782.8		782.8		2295.5%
სესხები	146.2	31.8	445.1	91.9	69.5	-22.4	75.6%	37.8	118.9%	15.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1		
კლება	111.1	44.4	450.0	167.3	99.4	-67.9	59.4%	55.0	123.8%	22.1%
ვალუტა და დეპოზიტები	80.9	15.4	0.0	8.8	0.0	-8.8	0.0%	-15.4	-100.0%	
სესხები	30.3	28.2	450.0	158.5	99.4	-59.1	62.7%	71.2	252.4%	22.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.8	0.0	0.0	0.0	0.0		-0.8	-100.0%	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>1,085.5</b>	<b>235.4</b>	<b>2,425.8</b>	<b>645.8</b>	<b>383.6</b>	<b>-262.2</b>	<b>59.4%</b>	<b>148.1</b>	<b>62.9%</b>	<b>15.8%</b>
ზრდა	3,136.9	550.2	3,644.3	1,230.2	705.5	-524.7	57.3%	155.3	28.2%	19.4%
საშინაო	-294.8	106.8	1,400.0	700.0	272.4	-427.6	38.9%	165.6	155.0%	19.5%
საგარეო	3,431.8	443.4	2,244.3	530.2	433.1	-97.1	81.7%	-10.3	-2.3%	19.3%
კლება	2,051.5	314.8	1,218.5	584.4	321.9	-262.5	55.1%	7.1	2.3%	26.4%
საშინაო	31.7	12.9	42.9	24.9	12.6	-12.3	50.7%	-0.2	-1.7%	29.4%
საგარეო	2,019.8	302.0	1,175.6	559.5	309.3	-250.2	55.3%	7.3	2.4%	26.3%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის 4 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 4 თვის შესრულება 6 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	10,002.0	6,404.3	29.3%	64.0%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	39.0	23.6	30.5%	60.6%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	32.1	19.8	31.0%	61.6%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და სახელმწიფო საქმიანობა	23.5	11.8	6.2	26.5%	52.8%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	3.9	2.5	31.3%	62.5%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	16.4	11.1	34.2%	67.7%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	16.4	11.1	34.2%	67.7%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.03	0.01	16.2%	32.4%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	6.0	3.4	28.2%	56.3%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.3	0.1	23.2%	45.8%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.6	0.4	31.0%	60.7%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	5.2	2.9	31.5%	56.4%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.8	0.4	0.2	27.9%	55.8%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	12.4	9.7	40.5%	78.6%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	11.4	5.4	25.1%	47.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	30.2	25.1	44.9%	83.2%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	10.3	5.6	25.9%	54.3%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	1.0	0.4	24.3%	39.2%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	6.4	4.2	33.3%	66.7%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	12.5	14.9	74.5%	119.2%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	3.1	1.5	25.9%	48.4%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	8.3	4.8	30.0%	58.3%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	51.6	29.0	24.8%	56.2%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	50.3	28.5	24.9%	56.7%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	1.3	0.5	18.1%	36.1%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	4.2	1.6	19.6%	36.6%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	0.7	0.4	32.5%	61.1%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.3	29.2%	55.8%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	0.7	0.4	35.2%	64.0%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.4	35.0%	65.9%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.3	28.6%	52.2%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის 4 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 4 თვის შესრულება 6 თვის გეგმასთან მიმართებაში %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.3	29.7%	52.7%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.5	0.3	31.6%	60.4%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	0.8	0.4	31.0%	49.7%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.6	0.3	31.4%	58.9%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	95.4	55.1	30.6%	57.8%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	74.6	44.2	30.0%	59.3%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	30.0	19.5	10.2	34.0%	52.3%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2.4	1.2	0.7	30.1%	57.5%
21 00	საქართველოს პროკურატურა	56.5	28.0	15.5	27.4%	55.4%
